I საერთაშორისო კონფერენცია

ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

ქართული ტერმინოლოგიური სკოლა საუკუნეებს ითვლის და მდიდარი მემკვიდრეობა აქვს (VII-X საუკუნეებიდან იღებს სათავეს საეკლესიო-საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, გრამატიკული, მათემატიკური თუ სხვა დარგის ქართული ტერმინოლოგია), მაგრამ დღეს საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ტერმინოლოგიური სიჭრელე თითქმის ყველა დარგში. ტერმინოლოგიაში არსებული პრობლემები, გარკვეულწილად, აფერხებს თარგმნითი ლექსიკოგრაფიის განვითარებასაც.

ამ პრობლემის გადასაჭრელად 2013 წელს თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების ინიციატივით დაარსდა ყოველწლიური ადგილობრივი ტერმინოლოგიური კონფერენცია **სამეცნიერო ტერმინოლოგია** და ჟურნალი „**ტერმინოლოგიის საკითხები“.** ამავე განყოფილების ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის საზოგადოება (სტა), რომელიც უკვე ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრია. წელს ვაფართოებთ ჩვენი კონფერენციის ფორმატს და პირველად საქართველოში ვმართავთ ტერმინოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას

ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა.

თეზისების მიღების ვადები: 29 იანვარი - 15 ივნისი, 2018

კონფერენციაში მონაწილეობის დადასტურება: 25 ივნისი, 2018

კონფერენციის ჩატარების თარიღი: 14 – 16 სექტემბერი, 2018

კონფერენციის ჩატარების ადგილი: თბილისი, საქართველო

კონფერენციაში მონაწილეობა უკვე დაადასტურეს:

ჰენრიკ ნილსონმა - ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტმა (European Association for Terminology, EAFT)

ალბინა აუკსორიუტემ - ინფოტერმის - ტერმინოლოგიის საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრის - პრეზიდენტმა (Infoterm - International Information Centre for Terminology), ლიტვის ენის ინსტიტუტის ტერმინოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა

კონფერენციის თემატიკა:

1. დარგობრივი ტერმინოლოგია
2. თანამედროვე ტერმინოლოგიიის პრობლემები
3. ტერმინთშემოქმედების ისტორია
4. თარგმნითი ლექსიკოგრაფიის პრობლემები
5. თარგმნითი ლექსიკოლოგია (ისტორია, თანამედროვე კვლევები)
6. ამ თემატიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, ისე მაგისტრებსა და დოქტორანტებს.

სამუშაო ენა: ქართული, ინგლისური

თეზისების გაფორმების წესი:

ფონტი: sylfaen

მოცულობა: არაუმეტეს 400 სიტყვისა

რეგისტრაცია:

კონფერენციაში მონაწილეობისათვის ქვემოთ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გამოგზავნეთ შემდეგი ინფორმაცია:

- მომხსენებლის / კონფერენციის მონაწილის სახელი და გვარი
- აკადემიური თანამდებობა, სამეცნიერო ხარისხი, ორგანიზაცია;
- მოხსენების სათაური;
- საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ელფოსტა, ტელეფონის ნომრები).

ელფოსტა: geoterms.ge@gmail.com

კონფერენციაში მონაწილე მომხსენებელთათვის დაწესებულია **სარეგისტრაციო გადასახადი**, რომელიც მოიცავს საკონფერენციო მასალებსა და ხემსის საფასურს:

საქართველოს მოქალაქეებისთვის: 80 ლარი, სტუდენტებისთვის - 40 ლარი, უცხოელი მომხსენებლებისათვის: € 70

სარეგისტრაციო გადასახადი არ მოიცავს: სადილისა და ექსკურსიის ხარჯებს.

კონფერენციის ორგანიზატორები:

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაცია (EAFT)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია

ევროპული სკოლა

საორგანიზაციო კომიტეტი:

მზექალა შანიძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (საპატიო თავმჯდომარე)

ნანა მაჭავარიანი - თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)

ნანა გაფრინდაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ალიბეგაშვილი - საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ზურაბ გასიტაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი

ემზარ ჯგერენაია - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი

ვაჟა შენგელია - თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

შუქია აფრიდონიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

დამანა მელიქიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი

ნელი მახარაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

ლია ქაროსანიძე - თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ლ. გიორგაძე ნ. დათეშიძე, ქ. დათუკიშვილი, თ. ვაშაკიძე, რ. ზექალაშვილი, მ. თეთრაძე, დ. თვალთვაძე, ი. ლობჟანიძე, ნ. ლოლაძე, მ. მანჯგალაძე, ნ. მუზაშვილი, ს. ომიაძე, მ. ოსაძე , რ. პაპიაშვილი, ნ. სხირტლაძე, ნ. ფუტკარაძე, ლ. ქაროსანიძე, ნ. ჯიბუტი, ნ. ჯორბენაძე, ა. ხურცილავა.

geoterms.ge@gmail.com (ლია ქაროსანიძე, ანა ხურცილავა)